კომპლექსური დავალება მომზადდა სამოქალაქო განათლების პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში, რომელსაც ახორციელებს ორგანიზაცია PH International სამოქალაქო განათლების პედაგოგთა ფორუმთან და 8 რეგიონულ პარტნიორ ორგანიზაციასთან ერთად. პროგრამა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ხელშეწყობითა და აშშ საერთაშორისო განვითარების სააგენტოს (USAID) დაფინანსებით ხორციელდება.

დავალებებში გამოყენებულია პროგრამის „მომავლის თაობა“ ფარგლებში მომზადებული რესურსები:



თემატური ბლოკი:	*ადგილობრივი თვითმმართველობა*
სამიზნე ცნება:	*სამოქალაქო მონაწილეობა;*
საკითხი:	*მოქალაქეთა მონაწილეობას ადგილობრივ თვითმმართველობაში*

კომპლექსური დავალების პირობა:

თქვენ საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი ხართ და ატარებთ საარჩევნო კამპანიას. ხშირად აწყობთ საჯარო გამოსვლებს, რომელზედაც ყურადღებას ამახვილებთ მნიშვნელოვან საკითხებზე. ახლა ემზადებით საჯარო გამოსვლისთვის თემაზე - **მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობაში.** თქვენ უნდა მოამზადოთ **საჯარო სიტყვა**, რომელშიც წარმოაჩენთ თქვენს ხედვას და გეგმებს, თუ როგორ აპირებთ მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში.

საჯარო სიტყვაში თვალნათლივ წარმოაჩინეთ:

- მოქალაქეთა მონაწილეობის რომელი ფორმები არსებობს და რატომ არის მათი გამოყენება მნიშვნელოვანი?
- როგორ შეუწყობთ ხელს ადგილობრივ თვითმმართველობაში მოქალაქეთა მონაწილეობის გაზრდას?
- რამდენად მნიშვნელოვანია საზოგადოებრივი პრობლემების გადაჭრისათვის საზოგადოების და ადგილობრივი თვითმმართველობის თანამშრომლობა?

პრაქტიკული რჩევები კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისთვის:

დაამუშავეთ მასალა - მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივ თვითმმართველობის განხორციელებაში ;

კარგი პრაქტიკის მაგალითები დაგეხმარებათ უკეთ გაიაზროთ, თუ რა მნიშვნელობა აქვს მოქალაქეთა ჩართულობას ადგილობრივ თვითმმართველობაში
საჯარო სიტყვის მომზადებისას გაითვალისწინეთ მისი სტრუქტურა და გაეცანით რჩევებს . ნიმუშის სახით შეგიძლიათ უყუროთ მარტინ ლუთერ კინგის საჯარო გამოსვლას - „მე მაქვს ოცნება“

მოქალაქეთა მონაწილეობა ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 70-71 .

მუხლი 85. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის გარანტიები და ფორმები

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები და მუნიციპალიტეტის ორგანოების თანამდებობის პირები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველსაყოფად შექმნან ორგანიზაციული და მატერიალურ-ტექნიკური პირობები მოქალაქეთა მიღების, მოქალაქეებთან შეხვედრების, მუნიციპალიტეტის ორგანოების საქმიანობაში, მათ შორის, კოლეგიური საჯარო დაწესებულების სხდომებში, მოქალაქეთა მონაწილეობისა და გადაწყვეტილებათა მიღების პროცესის გამჭვირვალობისათვის.

2. ნებისმიერ პირს აქვს უფლება, ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებითა და მუნიციპალიტეტის საკრებულოს ნორმატიული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტებით განსაზღვრულ ფარგლებში და დადგენილი წესით, შეუზღუდავად ისარგებლოს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებით.

3. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტში გაითვალისწინოს შესაბამისი პროგრამები.

4. ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ფორმებია:

ა) დასახლების საერთო კრება;

ბ) პეტიცია;

გ) სამოქალაქო მრჩეველთა საბჭო;

დ) მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მუნიციპალიტეტის საკრებულოს კომისიის სხდომებში მონაწილეობა;

ე) მუნიციპალიტეტის მერის და მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრის მიერ გაწეული მუშაობის შესახებ ანგარიშების მოსმენა.

5. მუნიციპალიტეტი უფლებამოსილია, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის ამ კანონით განსაზღვრული ფორმების გარდა, შესაბამისი ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტით განსაზღვროს ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის სხვა ფორმები, რომლებიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას.

მუხლი 85[1]. ინფორმაციის ხელმისაწვდომობა

1. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის უზრუნველყოფის მიზნით განახორციელონ ღონისძიებები თავიანთი საქმიანობისა და ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელებაში მოქალაქეთა მონაწილეობის შესაძლებლობების შესახებ მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ინფორმირებისათვის.

2. მუნიციპალიტეტის ორგანოებისა და დაწესებულებების, აგრეთვე მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის დაფინანსებით მოქმედი კერძო სამართლის იურიდიული პირების საქმიანობის საჯაროობასთან, მათ შორის, კოლეგიური ორგანოს სხდომის საჯაროობასთან, და საჯარო ინფორმაციის გაცემასთან დაკავშირებული საკითხები წესრიგდება ამ კანონით, საქართველოს სხვა საკანონმდებლო და კანონქვემდებარე აქტებით და მათ საფუძველზე მიღებული მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილებებით.

3. მუნიციპალიტეტის ორგანოები ვალდებული არიან, საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით გამოაქვეყნონ მიღებული ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტები, მათი პროექტები და სხვა საჯარო ინფორმაცია.

მოქალაქეთა ჩართულობის მნიშვნელობა

წყარო

სამოქალაქო განათლების დამხმარე სახელმძღვანელო **„თანამშრომლობა ადგილობრივ ხელისუფლებასთან და მედიასთან“** გვ 30-32 .

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში ახალგაზრდების ჯგუფს სურვილი ჰქონდა, წვლილი შეეტანა თავისი მუნიციპალიტეტის განვითარებაში, გაეაქტიურებინა თანატოლები, დაეგეგმა და განეხორციელებინა აქტივობები, თეთრიწყარო საინტერესო და მიმზიდველი გაეხადა ახალგაზრდებისთვის. თავდაპირველად მათ კონსულტაციები და ტრენინგები გაიარეს თბილისში მოქმედ არასამთავრობო ორგანიზაციებთან და დააარსეს არასამთავრობო ორგანიზაცია „თეთრიწყაროს ახალგაზრდული ცენტრი“.

ორგანიზაციამ უკვე მოიპოვა რამდენიმე მცირე გრანტი. ცენტრმა მუნიციპალიტეტს თხოვნით მიმართა ორგანიზაციისთვის ფართის გამოყოფის შესახებ. 2017 წელს თვითმმართველობამ განიხილა საკითხი და კანონის შესაბამისად, ორი წლით, გაგრძელების პერსპექტივით, ორგანიზაციას გადასცა თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული უძრავი ქონება-ყოფილი სასამართლოს შენობა. ორგანიზაციის წევრებმა და მოხალისეებმა დაასუფთავეს შენობა და ჩაატარეს შიდა რემონტი. ამჟამად აქ უკვე ხორციელდება რამდენიმე ახალგაზრდული, კულტურულ-საგანმანათლებლო პროგრამა და იგეგმება ახალი საქმიანობებიც.

2. ბოლნისის მუნიციპალიტეტის სოფელ დისველში აჭარიდან ჩამოსახლებული მოქალაქეები ცხოვრობენ. 2016 წლამდე ამ დასახლებას სოფლის სტატუსი არ გააჩნდა და მოსახლეობა ვერ სარგებლობდა „სოფლის მხარდაჭერის პროგრამით“. სკოლის და მოსახლეობის მიერ აშენებული ეკლესიის გარდა აქ სხვა საზოგადოებრივი შენობა არ არსებობდა. 2017 წელს კავკასიური ინსტიტუტის ერთ-ერთი პროექტის ფარ- გლებში ჩატარებული სათემო შეხვედრის დროს მოსახლეობამ პრობლემად საზოგადოებრივი თავშეყრის სივრცის და ამბულატორიის არარსებობა დაასახელა. ამის შემდეგ ჩამოყალიბდა საინიციატივო ჯგუფი, რომელიც შეხვდა თვითმმართველობის წარმომადგენლებს. შეხვედრაზე განიხილეს აღნიშნული პრობლემა და გადაწყვეტის გზებიც დაგეგმეს.

მალე მერიამ ორი საცხოვრებელი კონტეინერი შეიძინა და სოფელ დისველში განათავსა. ერთ კონტეინერში ამბულატორია და მერის წარმომადგენლის ოთახი მოეწყო, მეორეში კი კავკასიურმა ინსტიტუტმა შეიტანა საოფისე ავეჯი და საზოგადოებრივი ცენტრი და ბიბლიოთეკა მოაწყო. მერია კონტეინერების გარშემო სივრცის კეთილმოწყობასა და სპორტული მოედნის გაკეთებასაც გეგმავს.

3. ახალციხის მუნიციპალიტეტში 2016 წელს შეიქმნა პროექტი, რომელიც ურაველის ხეობის ექვსი სოფლის მიწების სარწყავი სისტემით უზრუნველყოფას ითვალისწინებდა. ახალციხის წყალმომარაგების ძველ სისტემაში წყლის თვითდინებით მიწოდება დაიგეგმა.

ეს სისტემა (7 კმ. სიგრძის მილი) სარემონტო იყო და, ამავე დროს, ეკუთვნოდა არა მუნიციპალიტეტს, არამედ საქართველოს ეკონომიკის სამინისტროს. მუნიციპალიტეტს არ ჰქონდა სისტემის შესაკეთებელი თავისუფალი თანხები და არც არხზე სამუშაოების ჩატარების უფლება.

2017 წელს ახალციხის თვითმმართველობამ მოლაპარაკებები დაიწყო ეკონომიკის სამინისტროსთან მუნიციპალიტეტისათვის არხის გადაცემის თაობაზე. ამასთანავე, თანხების მოძიების მიზნით, არასამთავრობო ორგანიზაციის დახმარებით, პროექტი შეიტანა იაპონიის საელჩოში. 2017 წლის ზაფხულში ეკონომიკის სამინისტრომ აღნიშნული არხი ახალციხის მუნიციპალიტეტს გადასცა, ხოლო შემოდგომაზე იაპონიის საელჩომ არხის აღდგენის პროექტი დააფინანსა. 2018 წლის გაზაფხულზე სარეაბილიტაციო სამუშაოები დაიწყო. არხი ექვს სოფელს მოემსახურება და 250-300 ჰა მიწის ფართობს მინიმალურ ფასად გაასარწყავიანებს.

4. ევროკავშირის სამეზობლო პოლიტიკაში მონაწილეობამ და საქართველოსა და ევროკავშირს შორის დადებულმა ასოცირების შეთანხმებამ გააჩინა ახალი შესაძლებლობები, რომლებიც საქართველოს თვითმმართველობებმა შეიძლება გამოიყენონ.

2017 წელს მაღალმთიანი აჭარის სამმა მუნიციპალიტეტმა (ქედა, შუახევი, ხულო) „მუნიციპალური სერვისების განვითარების ცენტრი“ დააფუძნა, რომლის მიზანი მუნიციპალიტეტების შეზღუდული რესურსების გაერთიანება იყო საერთო საქმიანობისთვის. ახალმა ორგანიზაციამ, პირველ ეტაპზე, სამ მუნიციპალიტეტში მუნიციპალური ნარჩენების მართვის არსებული სისტემის ანალიზი გააკეთა და მისი გატანის ოპტიმალური სქემები მოამზადა. ამ სქემების მიხედვით მოსახლეობისა და დაწესებულებების საყოფაცხოვრებო ნარჩენების გატანა და ნაგავსაყრელებზე განთავსება თანამედროვე ევროპული სტანდარტების შესაბამისად მოხდება. ეს მომსახურება ხელმისაწვდომი გახდება არა მარტო ქალაქებსა და დაბებში, არამედ ყველაზე შორეულ მაღალმთიან სოფლებშიც კი. ამ საქმის კიდევ ერთი დადებითი ასპექტი გახლდათ ის, რომ თვითმმართველობებს საუკეთესო ევროპელი სპეციალისტები ეხმარებოდნენ. საქმიანობის მთელი ხარჯი კი დაიფარა არა მუნიციპალიტეტების ისედაც მცირე ბიუჯეტებიდან ან აღებული სესხებით, არამედ ევროკავშირის გრანტით და ჩვენს მოქალაქეებსა და სახელმწიფოს ეს ერთი თეთრიც არ დაუჯდა.

საჯარო სიტყვის სტრუქტურა

წყარო: 🔗

საჯარო სიტყვა სამი ნაწილისგან შედგება: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნა.

I. **შესავალი**

- მსმენელთა ყურადღების დაპყრობა შესავალი ტექსტით.
- გამოსვლის კონკრეტული მიზნის გადმოცემა
- თემის მთავარი ნაწილების განხილვა.

II. **ძირითად**

- აუდიტორიის ყურადღების შენარჩუნება მსჯელობის ლოგიკური თანმიმდევრული აწყობით, მსჯელობებს შორის ლოგიკური ხიდების გადებით. ასეთი გარდამავალი სიტყვებია – "ერთის მხრივ – მეორეს მხრივ", "აქედან გამომდინარე", "დამატებით საჭიროა ითქვას" და ა.შ. მნიშვნელოვანია ზომიერების დაცვა. ერთნაირი ფრაზების ხშირი გამოყენება იწვევს მონოტონურობას.
- კონკრეტული მაგალითების მოყვანა და საკითხთან დაკავშირებით საკუთარი მოსაზრებების არგუმენტირებულად და მკაფიოდ გადმოცემა.

III. **დასკვნას**

- ნათქვამის შეჯამება
- წარმოთქმული სიტყვით შექმნილი შთაბეჭდილების განმტკიცება და გაძლიერება
- აუდიტორიის წინაშე გარკვეული ამოცანების დასახვა